ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №20

(საქონლის შესყიდვა)

ქალაქი ფოთი **31 იანვარი 2020 წელი**

1.1 ერთის მხრივ, **ა(ა)იპ ქალაქ ფოთიs სპორტისა და ტურიზმის ცენტრი, წარმოდგენილი მისი დირექტორის ბექა გუგუშვილის** სახით - შემდეგში ,,შემსყიდველი~ და მეორეს მხრივ, შპს „ორგსერვისი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის ხვიჩა ნემსაძეს სახით - შემდეგში ,,მიმწოდებელი~ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანების “გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის წესის“ მე-2 მუხლის “ა“ პუნქტის შესაბამისად აფორმებენ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას.

2. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება და კლასიფიკატორის კატეგორია

2.1 შესყიდვის საშუალება -გამარტივებული შესყიდვის საშუალება

2.2 შესყიდვის კატეგორია - 39100000 - ავეჯი

CPV კოდი	საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	რაოდ.	ერთ.ფასი	საქონლის ფასი
39112000	საოფისე სკამი	ცალი	10.00	255.00	255.00
სულ					**255.00**

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 **საქონლის ღირებულება შეადგენს 255 (ორასორმოცდათხუთმეტი) ლარს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადებისა და სხვა ხარჯების ჩათვლით.**

4. საქონლის მიწოდების ვადები და პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება **2020 წლის 10 თებერვლის ჩათვლით.**

4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველის უფლებამოსილ პირს, შესაბამისი დიკუმენტაცია (მიღება-ჩაბარების აქტი, სასაქონლო ზედნადები და სხვა.

5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

5.1 მისაწოდებელი საქონელი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ სტანდარტებს, ხელშეკრულების პირობებს და შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

6.1 ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა განისაზღვრება, ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2020 წლის 10 მარტის ჩათვლით.

7. შესყიდვის ობიექტის ანგარიშსწორების ფორმა და მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტის მიღბა ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

7.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება-ლარებში.

7.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით – (გადარიცხვა).

7.4 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მოწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუმეტეს 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში.

8. ფორს-მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ადგილობრივი ბიუჯეტის დეფიციტი, თუ

ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
8.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა 10 (ათი) დღეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
8.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

9. სხვა პირობები

9.1 ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს განახორციელებს შემსყიდველი.
9.2 ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებისათვის (მათ შორის, ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების დროს) მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.02%-ის ოდენობით; ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 3%-ის ოდენობით.
9.3 მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურების მიწოდებისას დაიცვას მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული უსაფრთხოების ნორმები და მთლიანად პასუხისმგებელია მიყენებულ ზიანზე.
9.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

10. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

,,შემსყიდველი''
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის
სპორტისა და ტურიზმის ცენტრი

ქ.ფოთი, 26 მაისის N7
საიდენტიფიკაციო კოდი: 415106414
სახელმწიფო ხაზინა

დირექტორი

ბექა გუგუშვილი

Beka Gugushvili
Digitally signed by Beka Gugushvili
Date: 2020.01.31 12:43:31 +04'00'

,,მიმწოდებელი''
შპს „ორგსერვისი“

ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ.
საიდენტიფიკაციო კოდი:212693851

სს ,,პროკრედიტ ბანკი''
ბანკის კოდი: GE28PC0133600100067722

დირექტორი: ხვიჩა ნემსაძე

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის

ქალაქ ფოთი **31 იანვარი 2020 წელი**

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის I თავის მე-8 მუხლის შესაბამისად ვადასტურებთ, რომ არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელ **შპს „ორგსერვისის“** მიმართ.

,,შემსყიდველი''
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის
სპორტისა და ტურიზმის ცენტრი

დირექტორი **ბექა გუგუშვილი**

Beka Gugushvili

Digitally signed by Beka Gugushvili
Date: 2020.01.31 12:44:33 +04'00'